

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹³ მუხლის შესაბამისად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს 2013 წლის საქმიანობის ანგარიშს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს ფორმირება აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს მიერ მოხდა 2013 წლის მიწურულს, აქედან გამომდინარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭო წარმოგიდგენთ გასული წლის საქმიანობის ანგარიშს და მოგახსენებთ, რომ 2013 წელში მრჩეველთა საბჭოს მიერ განხორციელდა მხოლოდ ოთხი სამუშაო სხდომის ჩატარება.

- პირველი სხდომა ჩატარდა 2013 წლის 12 ნოემბერს, რომელზეც არჩეულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ასევე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა ღია კონკურსი.

- მეორე სხდომა ჩატარდა 2013 წლის 20 დეკემბერს, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის თანამდებობაზე სოსო სტურუას დანიშვნის შესახებ.

- მესამე სხდომა ჩატარდა 2013 წლის 25 დეკემბერს, რომელზეც მიღებულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დროებითი დებულება. ამავე სხდომაზე მიეცა მითითება ტელევიზიის დირექტორს ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის აუცილებელი დონისძიებების გატარების შესახებ.

- მეოთხე სხდომა ჩატარდა 2013 წლის 28 დეკემბერს, რომელზეც განისაზღვრა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს პროგრამული პრიორიტეტები, ასევე მოხდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება.

მიუხედავად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ, 2013 წელში საქმიანობის ძალიან მცირე პერიოდისა, განხორციელდა უმთავრესი, კერძოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ განისაზღვრა პროგრამული პრიორიტეტები, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო ხელმძღვანელობდა ამ სფეროში არსებული საერთაშორისო და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გამოცდილებითა და საქართველოს კანონმდებლობით.